საქართველოს კანონი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურებისათვის დაწესებული საფასურისა და ვადების შესახებ“ საქართველოს კანონის (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №2, 04.01.2007, მუხ. 33) მე-12 მუხლის შენიშვნის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. „საჯარო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საჯარო შესყიდვის განმახორციელებელ პირს სააგენტოსთან შეთანხმებით უფლება აქვს, ამ კანონით განსაზღვრული მომსახურებისა და დაჩქარებული მომსახურების საფასურები გადაიხადოს შესაბამისი მომსახურების გაწევის შემდეგ, მაგრამ არაუგვიანეს მხარეებს შორის შეთანხმებული ვადისა.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს 2025 წლის 1 იანვრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

9 თებერვალი 2023 წ.

N2568-XIმს-Xმპ